საქართველოს ძღიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№150 (6375) 15 დეკემბერი შაბათი 1990 წელი ფასი 3 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

11 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ზვიად გამსახურდიამ.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ალექსანდრე ვარძელაშვილი, ალექსანდრე ქობულაშვილი, ავთანდილ მარგიანი, ნოდარ ნათაძე, ლევარდ ტუხაშვილი, ანდრია აფაქიძე, ფოტი ჩიტლოვი, ვლადიმერ მირცხულავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ლევან ალექსიძე. დეპუტატების წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი გენრიხ მალიუშკინი.

სესიამ ერთხმად მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მიღებულია აგრეთვე კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ (კანონი ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წესის საკითხი, რაც მოახსენა სესიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვაჟა ადამიამ. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, მზექალა შანიძე, ეთერ გუგუშვილი, რომან გოცირიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წესის შესახებ.

სესიამ მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნუგზარ მოლოდინაშვილის ინფორმაცია და მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნის საკითხი. განისაზღვრა ამ არჩევნების მოწყობის თარიღი—1991 წლის 3 მარტი. მიღებულია აგრეთვე დადგენილება ზოგიერთ საარჩევნო ოლქში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაათავისუფლოს გ. დ. მგელაძე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის—რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

განცხადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები ნინო ჯავახიშვილი, ბიძინა დანგაძე.

სარედაქციო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ამირან კალაძის წინადადებით სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის №1 მოწმობა გამოიწეროს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელზე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა ახლანდელ რთულ სიტუაციაში დაიცვას სიმშვიდე, ხელი შეუწყოს მდგომარეობის სტაბილიზაციას და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, ყველაფერი იღონოს სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

სს „საქართველო“.

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად ,ვარდამავალ პერიოდში უნდა მოხდეს საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება.

ამასთან, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა მე-20 მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს უფლებამოსილების ვადა 1989 წლის 21 დეკემბერს გაუვიდათ. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით მათი უფლებამოსილება გაგრძელდა ახალ არჩევნებამდე, ხოლო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 20 მარტის დადგენილებით—1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრამდე. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები 1991 წლის 3 მარტს.

2. ხელისუფლების ახალი ადგილობრივი ორგანოების არჩევამდე შეწყდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების უფლებამოსილება.

3. ხელისუფლების ახალი ადგილობრივი ორგანოების არჩევამდე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ამ რეგიონებიდან არჩეული დეპუტატების მიერ აღმასრულებელ კომიტეტებთან ჩამოყალიბებული დროებითი კომისიების დახმარებით.

4. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

ხალხის გულისთქმა

სავსებით ვიწონებთ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 11 დეკემბრის სხდომაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას მოხსენებაში სრულყოფილად არის დასაბუთებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიის უკანონობა და არაკონსტიტუციურობა.

ათეული წლების მანძილზე ბოლშევიკების მიერ საქართველოს მიწა-წყალზე ხელოვნურად შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი წარმოადგენდა ქართველი და ოსი მოსახლეობის დაპირისპირების იარაღს, ძირს უთხრიდა ორი ერის საუკუნეობრივ მეგობრობას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობა ძირძველ ქართულ მიწაზე, ძველი სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ლახავდა მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ეროვნულ ინტერესებს. ყოვლად გაუმართლებელმა ფათმობამ გაათამამა შოვინისტური ორგანიზაციის, „ადამონ ნიხასის“ სულისჩამდგმელები და მათ წამოაყენეს ქართული მიწა-წყლის მითვისების პრეტენზია და მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არა ერთი გაფრთხილებისა ოლქში 9 დეკემბერს ჩაატარეს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა.

მე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მშობელი დედა, მთლიანად და სავსებით ვიწონებ უზენაესი საბჭოს 11 დეკემბერს მიღებულ კანონს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ და მას ალვიქვამ როგორც ერთადერთ სწორ პოლიტიკურ ნაბიჯს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე.

დარწმუნებული ვარ ამიერიდან ბოლო მოეღება საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე ოსი ექსტრემისტებისა და სეპარატისტების პარპაშს და მკვიდრი ქართველი მოსახლეობის შევიწროებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ უდავოდ ბრძნულია, რომელსაც დიდი კმაყოფილებით შეხვდა ყველა ! პედაგოგი, პატიოსანი და შეგნებული ადამიანი, საქართველოს ყველა მშრომელი.

ნ. ლარცულიანი,

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის სესიის მიერ მიღებული კანონისა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გაუქმდა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველო.

ექსპრეს - ინფორმაცია

14 დეკემბერს შედგა სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის რეგიონალური ორგანიზაციების ერთობლივი სხდომა. სხდომამ განიხილა ლეჩხუმის „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის შექმნის საკითხი. ბლოკში ორგანიზაციულად გაერთიანდა წმინდა ილია მართლის საზოგადოება, ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის 16 წევრი, ჰელსინკის საინიციატივო ჯგუფის წევრი დ. ჩოგოლიანი. „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის სპიკერად არჩეულია წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი მერაბ ბერუჩაშვილი.

ლეჯანურჰესი: სინამდვილე და პერსპექტივა

საფეხურის მშენებლობა 1953 წელს დაიწყო, 7 წლის შემდეგ (1960) კი პირველი აგრეგატი ამუშავდა. ეს იყო თამამი პროექტი, რომლის განხორციელება ბუნების წინააღმდეგ წასვლას ითხოვდა—ცხენისწყალი ლაჯანურისათვის უნდა შეერთებინათ. ეს დროის პათოსი იყო, თავისთავად ლაჯანურჰესი გიგანტურ მშენებლობებში არ ჩაითვლება, მაგრამ ლეჩხუმის მასშტაბით თავისუფლად შეიძლება აზეთად მივიჩნიოთ, მაგრამ ესეც დროის პათოსი იყო—მცირეზე უარის თქმა და დიდ სიმძლავრეებზე აქცენტირება. მას შემდეგ გაუქმდა ორბელჰესი, რაჩხაჰესი...

როცა ლაჯანურჰესის ეკოლოგიურ გავლენაზე ესაუბრობდით, საფგურის ელექტროუბნის უფროსმა დავით ჩაჩხიანმა მითხრა: მე არ შემიძლია ზუსტად განვაზღვრო, რა გავლენას ახდენს ჰესი ლეჩხუმის ბუნებაზე. არის თუ არა იგი მეწყრული მოვლენების გააქტიურების მიზეზი, რამდენად შეიძლება „დაბრალდეს“ ტენიანობის ზრდა და თანამდევი მოვლენები, მაგრამ ეს გავლენა რომ არსებობს, ცხადია. მხოლოდ ლაჯანურჰესის, უფრო სწორად, წლების მანძილზე მისი არასწორი ექსპლოატაციის შედეგია, რომ მდინარე ლაჯანურისა და ცხენისწყლის კალაპოტი მაღლა იწევს და უამრავი სავარგული მიაქვს. შეიძლება უშუალოდ კაშხალთან მდებარე უსახელოს გზის მუდმივი დამეწყვრაც ჰესის ბრალია. სხვა მოვლენათა დაკავშირებაც შეიძლება მასთან, მაგრამ ეს ყველაფერი სპეციალისტებმა უნდა განსაზღვრონ. ზუსტი დასკვნის გაკეთება მხოლოდ საფუძვლიან ეკოლოგიურ ექსპერტიზას შეუძლია, დღეს კი მხოლოდ ერთი რამაა ცხადი—ისილება კაშხალი, ისილება მდინარეთა კალაპოტები.

მდინარე ლაჯანურის ხარჯი წამში 5 დან 120 კუბურ მეტრამდეა (წლის განმავლობაში მდინარის დონე ხშირად იცვლება). საფგურმა რომ იმუშაოს წამში 100 კუბური მეტრი წყალია საჭირო. წყლის ეს დეფიციტი ცხენისწყალს უნდა შეევსო. ამიტომაც **გახდა საჭირო,** ცხენისწყალზე სათავე—ნაგებობის აგება, რომელიც 60 კუბურ მეტრ წყალს უშვებს წამში. სათავე—ნაგებობიდან გამოდის 960 მეტრი სიგრძის უდაწნეო არხი, რომელიც 5 კილომეტრიან გვირაბს უერთდება. პროექტით გვირაბი 60 კუბურ მეტრ წყალს უნდა ატარებდეს, ატარებს კი 55 ს. ეს მშენებელთა შეცდომის შედეგია.

წყალსაცავიდან 2,5 კილომეტრიანი სადაწნეო გვირაბით წყალი შედის გამთანაბრებელ რეზერვუარში, იქიდან კი—ტურბინებზე. წყლის დაცემა ხდება 13,5 მეტრი სიმაღლიდან. თაღოვანი კაშხალის ნომინალური დონე 494 მეტრია ზღვის დონიდან.

საფგურში 3 აგრეგატია. ერთმა აგრეგატმა რომ იმუშაოს 3,5 კუბური მეტრი წყალია საჭირო. 3 აგრეგატის სიმძლავრე 112 მეგავატია. ესაა აქტიური დადგმული სიმძლავრე.

კაშხლების მომენტში კაშხალზე იყო 25 მილიონი კუბური მეტრი წყალი, 1,5 კვადრატული კილომეტრ სარკის ზედაპირით. აქედან 8 მილიონი კუბური მეტრი იყო მკვდარი ზონის ტევადობა, 17 მილიონი კი—სასარგებლო წყალი. არასწორი ექსპლოატაციის შედეგად კაშხალი მოისილა და მას მკვდარი ზონა აღარ აქვს. ეს კი ავარიის საშიშროებას ზრდის. ახლა წყალსაცავში მხოლოდ 8 მილიონი კუბური მეტრი წყალია.

რამ გამოიწვია კაშხალის მოსილვა? ვინაა დამნაშავე—პროექტის ავტორი, მშენებლები თუ ენერგეტიკოსები? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხს ვერავინ ვერ სცემს. პროექტით გათვალისწინებული ყოფილა წყალსაცავის გაწმენდა წელიწადში ერთხელ ძლიერი წყალდიდობის დროს. რა თქმა უნდა, ეს მოსილვას არ გამორიცხავდა, მაგრამ გაცილებით მცირე იქნებოდა ტემპი და სადგურიც უფრო დიდხანს იმსახურებდა. გარეცხვები არ ხდებოდა, რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ ქუთაისის მოსახლეობა რიონის წყალს სვამს. წყალდიდობის დროს კაშხალის გაშვების შემდეგ წყლის გაფილტვა შეუძლებელი ხდება (როგორც ჩანს მფილტრავი დანადგარები არცთუ უახლესი ტექნიკის ნიმუშია), იმიტომ, რომ თევზები მასიურად იხოცებიან ჩამონატანისა და შლამის დიდი რაოდენობის გამო. იმიტომ, რომ.. უამრავი ასეთი „იმიტომ“ არსებობს, რის გამოც კაშხალი არ იწმინდება. დავით ჩაჩხიანმა ისიც კი თქვა, წყალსაცავი მთლიანად რომ გაუშვა, მთელ ხეობაში გზას წალეკავსო. დღეს ენერგეტიკოსები ამ პრობლემის გადაწყვეტის გზას ვერ ხედავენ, იქნებ მომავალმა მოცვეცეს რაიმე სანუგეშო. მოიძებნოს კაშხალის გაწმენდის ხერხი და საშუალება.

დიდი ხნის განმავლობაში ლაჯანურჰესს თავისი სამმართველო ჰქონდა. მართალია, დამოუკიდებელი საწარმო არ იყო, მაგრამ ერთი ბატონი მაინც ჰყავდა, თუ რამ შენდებოდა რაიონში, ჰესის სახსრებით შენდებოდა. ჩვენი ღარიბი რაიონისათვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა. 1983 წლიდან კი, რაც ჰესი რიონჰესების კასკადს შეუერთეს (თუ შეერთება აუცილებელი იყო, პირიქით უნდა მომხდარიყო. ლაჯანურჰესისათვის უნდა შემოერთებინათ ეს კასკადი, რადგან რიონჰესიც და გუმათჰესიც გაცილებით მცირე სიმძლავრისანი არიან, ვიდრე ლაჯანურჰესი. ვიღაცამ ქალაქში არჩია ყოფნა და ესეც იმიტომ მოხდა—ასეთია დავით ჩაჩხიანის აზრი), საქმე სულ უკან და უკან წავიდა. ერთ დროს ჰესის დასახლება, პატარა, მაგრამ ძალზე კოხტა დაბას გავდა. მოვლილი ეზო-ეუჩები, დაწკრიალებული, ყვავილებით მორთული გზონები საამო სანახავი იყო. ახლა კი ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურება. ატალახებული, ასფალტაყრილი გზები, ზოგან გზონების კვალიც აღარ ჩანს. დამშრალი აუზი. სახლების, სასამსახურო შენობების უსახური, ზოგჯერ ჩამონგრეული ფასადები. ნახეთ დირექტორის კაბინეტი და უმალ მიხვდებით, როგორ გაკოტრებულა და გაღარიბებულა სადგური და ეს იმ დროს, როცა იგი წელიწადში დაახლოებით 6-დან 7 მილიონამდე მანეთის პროდუქციას აწარმოებს, როცა ლაჯანურჰესი ცალკე იყო, ამ თანხიდან ნაწილი მაინც ხმარდებოდა რაიონის საბიროებას, ახლა კი ჰესის შენობებისთვისაც ვერ მოუვლია. შეერთების შემდეგ სულ შეეკრათ ხელ-ფეხი. დაიწყო კადრების ასე ვთქვათ, გამალებული შემცირება, ახლა მთელ სადგურს მხოლოდ 40 კაცი ემსახურება. აღარ ჰყავთ რემონტის ბრიგადა, სპეცსპეციალისტები აკლიათ ელექტროუბნებზე, ჰიდროსაამქროში, სატურბინე საამქროში, ელექტროლაბორატორიაში, კომუნალურ მეურნეობაშიც აღარაგინაა. გაზონები რომ გაკრიჭოს, ეზო დაგავოს, დასუფთაოს. სამმართველოში თავს იმით იმართლებენ, მართალია, შტატები შევამცირეთ, მაგრამ ხელფასები ხომ გაიზარდაო. კი მაგრამ ახლა რომ თითოეული 2-3 კაცის სამუშაოს ასრულებს? ეს კი შესრულებული სამუშაოს ხარისხზეც მოქმედებს და დაძაბულობასაც იწვევს.

სამმართველოს ხელმძღვანელობა საერთოდ ვერ ამჩნევს სადგურის საჭიროებებს. ჰესს საკუთარი ფონდები არა აქვს. მაგრამ რასაც გამოყოფენ, იმის შემოტანაც ჭირს სიშორის გამო, არ არის ელექტრომასალები. სადგურის მომსახურე პერსონალს უჭირს ისე, როგორც არასდროს. ალპანის კულტურის სახლი ადრე ჩვენი იყო, ვუვლიდით კიდეც. მერე კულტურის განყოფილებას გადასცეს. ახლა დგას ცარიელი, მინებჩამსხვრეული შენობა, კინოფილმის ნახვის საშუალებაც აღარ გვაქვს,—ამბობს ელეტროუბნის უფროსი. სასადილო?—ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ჯერ მაღაზიაც. მარტო ის რად ღირს, რომ ბევრი სასამსახურო ბინა დაკეტილია, მე და გიზო მუკბანიანი კი 5 წელია აქ ვმუშაობთ და ჯერაც სასტუმროში ვცხოვრობთ.

და აი, ყველაფერმა ამან და ბევრმა იქნებ გაუმჭელელმა სატკივარმაც აიძულა ენერგეტიკოსები მოეწვიათ საერთო კრება და მიემართათ „საქენერგოს“ გენერალური დირექტორისათვის. მათ მართლაც გაგზავნეს მიმართვა „საქენერგოში“, მოითხოვდნენ რა ლაჯანურჰესის გამოყოფას რიონჰესების კასკადისაგან და ცალკე სამმართველოს შექმნას, და აცხადებდნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავდნენ უკიდურეს საპროტესტო აქციას — გაფიცვას. როგორც ჩანს, ამან გაჭრა და დოკუმენტური დაპირება უკვე არის—20 დეკემბრიდან ლაჯანურჰესი უკვე აღარ იქნება რიონჰესების კასკადის შემადგენელი ნაწილი. ბანკის ცაგერის განყოფილებაში ექნება საკუთარი ანგარიში, ექნება მასალების ფონდი და ა. შ. ენერგეტიკოსები ვარაუდობენ, რომ ეს ფაქტი, თუ დაპირება დაპირებად არ დარჩა, სასიკეთოდ შემოაბრუნებს საქმეს, მაგრამ მთავარი წინაა. აუცილებელია ლეჩხუმმა კატეგორიულად მოითხოვოს, რომ ლაჯანურჰესის მოგებიდან თუ მთლიანად არა, გარკვეული თანხა მაინც გადაეცეს რაიონს. ზარალდება ლეჩხუმი, მისი ბუნება, სავარგულები, მოგება კი ჭოსკოვს მიაქვს. საინტერესოა, როდემდე?

ია ხმელიძე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული ძალები ცდილობენ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ჩამოაშორონ საქართველოს მისი ისტორიული, განუყოფელი ნაწილი, რაც აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, არამედ თვით სსრ კავშირის კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის ელემენარულ ნორმებს.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არაერთი გაფრთხილებისა, აღკვეთილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი, ოლქში 9 დეკემბერს მაინც ჩატარდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წელს შეიქმნა ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულებელყოფით და სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ, რაც არაერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ოს ხალხს საბჭოთა კავშირში გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე—ჩრდილოეთ ოსეთში და რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში, სადაც მას აქვს და მომავალშიც ექნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო — აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის №2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“.

4. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ.

ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ წარმოადგნოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

—საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარმოუგდინოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;

—განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, თვითმარქვია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების აღსაკვეთად;

—შეუსაბამოს მთავრობის გადაწყვეტილებები ამ კანონს.

7. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ დაემორჩილნენ საქართველოს რესპუბლიკის ხელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს, უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციით დადგენილი არჩევნების ჩატარების წესები, ხელყვეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, და ბოროტად გამოიყენეს თანამდებობის პირთათვის კანონით მინიჭებული უფლებები და რწმუნებები.

8. კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევენახეობისა და მეღვინეობის გაწვითარების პრობლემები

ამ წერილის დაწერა არა მხოლოდ პროფესიონალურმა გრძნობამ გამაბედვინა, არამედ მიკარნახა იმ პატრიოტულმა გრძნობამაც, რომლითაც ყველა ლეჩხუმელი კაცი უნდა იყოს აღვსილი, ვისაც უყვარს თავისი კუთხე და ამაყობს იმ პროდუქციით, რომელსაც ჩვენი წინაპრების ოფლით გაჟღენთილი მიწა იძლევა.

ჩვენ, ლეჩხუმელი მეღვინეები, ვალში ვართ ჩვენი კუთხისა და ხალხის წინაშე. თითქმის 35 წელია მეღვინეობას ვემსახურები და ამ ხნის მანძილზე ვერ შევძელით რაიმე ახალი მარკის ლეჩხუმური ღვინის შექმნა (არის რამდენიმე ცდა, მაგრამ საბოლოო შედეგს ვერ მივაღწიეთ). დიდი კმაყოფილება გამოიწვია რესპუბლიკაში ყურძნის ფასების მომატებამ. კმაყოფილია ლეჩხუმელი მევენახეც, მაგრამ შეიძლება ითქვას დაიჩაგრა ისეთი უნიკალური ჯიშები, როგორიც ჩვენი უსახელაური, ოჯალეში, ცოლიკაური და თუ გნებავთ იზაბელაა. როდესაც ყურძნის ფასების მომატება ხდებოდა, უნდა მხედველობაში მიეღოთ საბოლოო პროდუქტი. ჩვენი უნიკალური ღვინოების ფასები თითქმის ორჯერ აღემატება იმ ორდინალური ღვინოების ფასებს, რომელთა ნედლეულის ფასში სხვაობა დიდი არ არის (1 კგ. 21პროცენტიანი ცოლიკაური ჩვენი ღირს 1,50 მანეთი. დანარჩენ რაიონებში კი 1,10 მანეთი. დკლ სხვაობა ნედლეულის ფასში არის. ჩვენი მზა პროდუქცია კი თითქმის ორჯერ მეტი ფასობს. ასევეა სხვა ჯიშებში. ამით იმის თქმა მსურს, რომ შეიძლება აღნიშნული საკითხის დაყენება და შედეგსაც მივაღწევთ.

არსებობს რა მეღვინეობის პროდუქციაზე ზემოდან სრული მონოპოლია, ლეჩხუმელი კაცი მონატრებულია ჩვენს მიერ შექმნილ პროდუქციას. ამაში ბრალი ჩვენც მიგვიძღვის. ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ღვინო-მასალები ადგილზე დავამუშაოთ, ჩვენს პროდუქციას ჩვენვე მივცეთ საბოლოო სახე.

კარგია, რომ ამის შესაძლებლობა დღეს უფრო არის—ვიმყოფებით რა იჯარაზე, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

ამიტომ როგორც სპეციალისტი, ვაყენებ მთელ რიგ საკითხებს, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ლეჩხუმში მევენახეობისა და მეღვინეობის, ასევე რაიონის ეკონომიკის ამაღლებას. და რაც მთავარია ლეჩხუმელი მშრომელი კაცის დაინტერესებას და მისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნული საკითხები ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე უნდა მოგვარდეს, განსაკუთრებით ამჟამად, როდესაც შექმნილია მუნიციპალურ არჩევნებამდე რაიონის მართვის ახალი კომისია, რომლის დიდი იმედი გვაქვს. აღნიშნული წერილი მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი არ დარჩება და პრაქტიკულად მივაღწევთ. ამასთან ერთად წინადადებით შემოვდივართ ჩვენი გაზეთის ერთი კუთხე მომავალში დაეთმოს ლეჩხუმის მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების პრობლემებს. ჩვენ მეღვინეები მზად ვართ მჭიდრო კონტაქტი დავამყაროთ ხალხთან და ხელი შევუწყოთ ჩვენთვის ტრადიციული და საამაყო დარგის განვითარებას.

სანამ მოხდებოდეს ფასების მომატება ოფიციალურ დონეზე, ჩვენს ქარხანას, რომელიც არენდაზე იმყოფება, უნდა ქონდეს უფლება დოტაციის სახით უნიკალური ჯიშის ყურძენზე გასცეს ფასდანამატი. აღნიშნული ეკონომიურადაც იქნება დასაბუთებული და მე მგონი კარგი საქმის მეტს არაფერს გააკეთებს.

ცაგერის ღვინის ქარხნის ძირითადი საშუალებები და საბრუნავი სახსრები შრომით კოლექტივებს გადაცემული აქვთ იჯარით. აღნიშნული ყველა დონეზე რეგისტრირებულია და უკვე ერთ წელზე მეტია, როგორც უკვე ვთქვი, ქარხანა მუშაობს სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში. აღნიშნული მეთოდით მუშაობამ თავისი პირველი კარგი შედეგები მოგვცა. შესრულებულია მოგების გეგმა, რომელიც ნაცვლად 100 ათასისა შეადგენს 170 ათას მანეთს.

მაგრამ ვერ ვიყენებთ სრულად იმ უფლებებს, რაც მეარენდეთა ორგანიზაციის წესდებითა და ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. შრომითი კოლექტივის საერთო კრებაზე აღინიშნა მუშამოსამსახურეთა უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ სრულებითაც არ გაუმჯობესებულა მათი ეკონომიური მდგომარეობა. შრომითი ანაზღაურება ისეთივე წესით ხდება, როგორც ადრე, როცა ქარხანა ზარალით მუშაობდა. ვერ მოვახდინეთ წარმოების გაფართოება, რომლის სახსრები საკმაოდ გაგვაჩნია. ვერ მივაღწიეთ, რომ დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებით გავანაწილოთ ჩვენს განკარგულებაში მყოფი სამეურნეო ანგარიშებრივი შემოსავლები. პროდუქციის მიწოდებაზე არის რა სრული მონოპოლია ზემდგომიდან არ გვაქვს საშუალება 1 დკლ ღვინოც კი ჩვენი შეხედულებისამებრ სახელშეკრულებო წესით ვინმეს მივაწოდოთ ან ადგილზე ვუყოთ რეალიზაცია და იძულებული ვართ ჩვენს საფირმო მაღაზიაში რეალიზაცია ვუყოთ კახეთის რაიონებიდან შემოტანილ ღვინოებს.

ბოლო ხნის მანძილზე ქარხნის კოლექტივმა ბევრ საკითხში გამოიჩინა ინიციატივა, კერძოდ, შევქმენით ახალი ნახევრადმშრალი თეთრი და წითელი ღვინო-მასალები, რამაც დიდი მოგება დაგვიტოვა, დავამონტაჟეთ ვაკუმაპარატები, რითაც ვაკუმტკბილს ადგილზე ვამზადებთ. გასულ წელს ყურძნის გადამუშავებისა და წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა კარგი დახმარება გაგვიწია იმით, რომ სხვა ქარხნებიდან გადმოგვცა წითელი და თეთრი ღვინო-მასალები, რომელთა ადგილზე დამუშავებით საკმარისი მოგება ნახა ჩვენმა ქარხანამ. იმედია ასეთ დახმარებას მომავალშიც გაგვიწევენ.

ცაგერის ღვინის ქარხნის ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი სახსრების შრომითი კოლექტივებისათვის იჯარით გადაცემასთან, სრულ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობასა და უკანასკნელ პერიოდში საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასვლასთან დაკავშირებით, მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებისა და საწარმოს შემოსავლიანობის გადიდების უზრუნველყოფის მიზნით ვაყენებთ შემდეგ საკითხებს:

1. დაგვერთოს ნება, როგორც იჯარაზე მყოფი მაღალმთიანი რაიონი, ჩვენს მიერ გამომუშავებული პროდუქციის 20 პროცენტი (ასორტიმენტის მიხედვით) გადმოგვეცეს საკუთარი შეხედულებით სახელშეკრულებო წესით ადგილზე რეალიზაციისა და მიწოდების მიზნით. აღნიშნულ ღვინო-მასალებს ჩვენივე ძალებით ადგილზევე დავამუშავებთ და მივცემთ საბოლოო სახეს.

ლეჩხუმელი კაცი, რომელიც ამაყობს „ოჯალეშით“, „ტვიშით“, „უსახელაურით“, მოკლებულია იმის საშუალებას, რომ ჩვენივე პროდუქცია შეიძინოს და მოიხმაროს (აღნიშნული აგრეთვე ხელს შეუწყობს უნიკალური ყურძნის ჯიშების ჩაბარებას).

მხედველობაშია მისაღები, რომ ჩვენთან გახსნილია საფირმო მაღაზია. რაც შეეხება ჩვენი შეხედულებებით ღვინის მცირე ნაწილის რეალიზაციას სახელშეკრულებო კანონით დადგენილი წესით, ამით რაიონს საშუალება მიეცემა გაცვლის წესით ჩვენს ტერიტორიაზე იმ პროდუქციის შემოზიდვისა და რეალიზაციისა, რომლის ნაკლებობასაც განვიცდით.

2. დაგვერთოს ნება მოვაწყოთ მცირე წარმადობის საჩამომსხმელო ხაზი, სადაც პირველ ხანებში მოვახდენთ ღვინო-მასალების ჩამოსხმას იმ რაოდენობიდან, რომლის ადგილზე რეალიზაციასა და დამუშავებას მოვითხოვთ.

3. ცაგერის რაიონი არის სამშობლო ისეთი უნიკალური ღვინისა, როგორიცაა „უსახელაური“, ბოლო წლებში ამ ჯიშის შენარჩუნებისათვის გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. სპეციალურად შეიქმნა საბჭოთა მეურნეობა. და იხარჯა აუარებელი სახსრები, მაგრამ დღემდე ვერ მივაღწიეთ ყურძნის მოსავლიანობის გაზრდას. ბოლო 3-წლის მონაცემებით ყოველწლიურად მიღებულია 2 ტონამდე ყურძენი. ბოლო პერიოდში ყურძნის ფასების მომატებასთან დაკავშირებით „უსახელაური“ დაჩაგრული აღმოჩნდა („ოჯალეში“ 21 პროცენტი ღირს 2 მანეთი, „უსახელაური“ 23 პროცენტიანი 2 მან). მოსახლეობა ყურძენს არ გვაბარებს და ყიდის ბაზარზე. ჩვენი წინასწარი აღრიცხვით მოსახლეობიდან შეიძლება შესყიდულ იქნას 5 ტონამდე „უსახელაური“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავუნაზღაურებთ სათანადო ფასს. 5 ტონა ყურძენი არც ისე დიდი რაოდენობაა და რომ არ დაიკარგოს ეს ჯიში, დავაინტერესოთ მოსახლეობა (საბჭოთა მეურნეობა გაუქმდა და ვენახები კერძო პირებზე გაიცა) მოვითხოვთ ნებართვას როგორც გამონაკლისი, დაგვრთოთ ნება წინასწარ ხელშეკრულების გაფორმებით შევისყიდოთ მოსახლეობიდან აღნიშნული უნიკალური ყურძენი გაზრდილი ფასით. მიღებული ყურძნის გადამუშავების შედეგად დავამზადოთ ნახევრად ტკბილი ღვინო „უსახელაური“, მივცეთ მას საბოლოო სახე ბოთლებში ჩასხმით და მივაწოდოთ მომხმარებელს. აღნიშნული საკითხის ეკონომიური გაანგარიშებითაც დავამტკიცებთ, რომ ზარალს ადგილი არ ექნება.

4. ჩვენი ღვინის საწარმოების მაღალ მწარმოებლობა და ტექნიკური შეიარაღება საშუალებას იძლევა პროდუქციის დიდი რაოდენობით გადამუშავებისა. რაიონში არის ისეთი უნიკალური სახეს ხილის ჯიშები, რომლის ბაზაზეც შეიძლება შევქმნათ ახალი ალკოჰოლის მაგარი სასმელი. ... ნება აღნიშნული სასმელის მოწონების შემთხვევაში შევისყიდოთ მოსახლეობიდან სახელშეკრულებო ფასით ნედლეული, რომლის გადამუშავება რაიონის სხვა ორგანიზაციებს უჭირთ, დავამზადოთ ახალი მარკის მაგარი სასმელი.

5. როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენს საწარმოებში უკვე რამდენიმე წელია შევიმუშავეთ ახალი ნახევრად მშრალი თეთრი ღვინის დამზადების ტექნოლოგია. აღნიშნული ღვინის რეალიზაციამ ქარხანა ზარალიდან გამოიყვანა და უდიდესი მოგება ნახა. ჩვენ რამდენჯერმე დავაყენეთ საკითხი აღნიშნული ღვინის ახალი მარკის შექმნის შესახებ, მაგრამ ამას ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ, იძულებული ვართ აღნიშნულ ღვინო-მასალას „ანაკოფიის“ სახით ვუყოთ რეალიზაცია, მაშინ, როცა შეიძლება ახალი ლეჩხუმური მარკის შექმნით და ღვინისათვის საბოლოო სახის მიცემით უფრო მეტი მოგება ნახოთ.

6. ოჯალეშის ჯიშის ყურძნიდან ვამზადებთ ნახევრადტკბილ ღვინოს „ოჯალეშს“, ბოლო დროს დავიწყეთ ნახევრადმშრალი „ბარაკონის“ დამზადება. დანარჩენი ე. ი. 20 პროცენტზე ნაკლები ჯიშის ყურძნიდან იძულებული ვართ დაკამზადოთ „ალაზნის ველი“ს წითელი მასალები, რაც წარმოებისათვის არაეკონომიურია და ვაკუმტკბილის სიძვირის გამოწვევიანიც კი არის. ჩვენ ვაყენებთ საკითხს დაბალ კონდიციური ოჯალეშის ჯიშის ყურძნიდან დავამზადოთ ახალი მარკის ნახევრადმშრალი წითელი ლეჩხუმური ღვინო, რომლის ტექნოლოგიასაც წარმოგიდგენთ და ამით წარმოება დიდ ეფექტს მიაღწევს.

7. ჩვენი რაიონის მოსაზღვრე მეზვენის ზონის სოფლებზე ნებადართულია გაიცეს ცოლიკაურის ჯიშის ყურძენზე მაღალი შესასყიდი ფასი, რადგან აღნიშნული ყურძნიდან მზადდება ნახევრადტკბილი „ტვიშის“ ღვინო. რა დააშავა ოყურეშის მოსაზღვრე ღვედისა და ცხენყურის მაღალმთიანმა სოფლებმა, საიდანაც შეიძლება მივიღოთ ცოლიკაურის ჯიშის მაღალხარისხოვანი ყურძენი, რომლისგანაც შეიძლება დავამზადოთ ნახევრადტკბილი „ტვიშის“ ღვინო საჭიროა გამოიყოს კომისია აღნიშნულ ზონაში ამ საკითხის გადასაწყვეტად.

8. ჩვენს ღვინის ქარხანას გადაწყვეტილი აქვს სხვა დამხმარე მეურნეობების შექმნა, რომლის შესახებ წარმოვადგენთ ჩვენს შეხედულობებს და ვიმედოვნებთ მხარდაჭერასა და დახმარებაზე.

აღნიშნული საკითხების მოგვარება დიდად შეუწყობს ხელს მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებისა და რაიონისა და საწარმოს შემოსავლიანობის გადიდების საქმეს.

ჯემალ ახვლედიანი.

ცაგერის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე.

ვაზი ღირსებაა ჩვენი

ჩვენი რაიონის ეკონომიკის ძირითადი წყარო ვაზია, ოდითგანაა განუყოფელი ვაზი და ლეჩხუმელი გლეხკაცი. სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში ჯეროვანი სიყვარულითა და პატივისცემით ველარ ვეკიდებით ჩვენს მარჩენალსა და სიამაყეს, გულგრილობა არ გვაპატია და იკლო მოსავლიანობამაც. ბევრი მევენახე, სპეციალისტი, მეღვინე გამოთქვამს გულისტკივილსა და შეშფოთებას ამის თაობაზე.

ვბეჭდავთ ცაგერის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინის ჯემალ ახვლედიანის პუბლიკაციას, მის სურვილებსა და მოსაზრებებს ლეჩხუმში მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი აღმავლობის თაობაზე.

მოდით, ყველამ ერთად ვიფიქროთ. რა უშველის დარგს, რა გავაკეთოთ, როგორ გავზარდოთ ლეჩხუმური უნიკალური ყურძნისა თუ ღვინო-მასალების წილი და ღირსება ქართულ ჭურ-მარანში.

გთხოვთ, მოგვწეროთ, გამოგვეხმაუროთ.

ჭილოცავთ

თამილა ჯანიკოს ასულ მეგრელს ლადო პარლამის ძე კენჭაძეს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ ულევ სიხარულს და უჭკნობ სიყვარულს. გისურვებთ თქვენი მიზნების სრულ განხორციელებას.

უახლოესი მეგობრები.

სოფო აკაკის ასულ გვიშიანს სოსო რუბენის ძე მუშაკუდიანს

სულითა და გულით გილოცავთ ბედნიერებას; გისურვებთ შვილთა სიმრავლეს, ბედნიერი ოჯახი შეგექმნათ.

ვიტალი მუშკუდიანი ოჯახით.

მარიკა ჯემალის ასულ ონიანს ბესიკ ბიჭიკოს ძე სალუქვაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი.

ლამარა ახვლედიანი, ლელა ჭოხონელიძე, ბელა ჭაბუკიანი, მილორი, ინგა, მადლენა მახარობლიძეები, თინიკო კვენტაძე, ქეთინო ჩაჩხიანი, სულიკო მეგრელი, ფოთოლა, გვიშიანი, ფოთოლა გოგებაშვილი.

მარიკა ჯემალის ასულ ონიანს ბესიკ ბიჭიკოს ძე სალუქვაძეს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ დაგბედებოდეთ ერთა სიმრავლე თავისუფალ საქართველოში.

ჯუსტანი, მაყვალა, სოფო, ვალერი კვირკაშვილები.

სოფო აკაკის ასულ გვიშიანს სოსო რუბენის ძე მუშაკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ფუძეძლიერ ოჯახს.

ნინო, გია კოპალიანები, მიმოზა, ბორის ბენდელიანები, ლალი ნემსწვერიძე.

ჭილოცავთ

ქეთინო ჩაკვეტაძეს

გილოცავთ დის ბედნიერებას. სიყვარული და სიკეთე ყოფილიყოს მისი ოჯახის თანამგზავრი. გამრავლებასა და სიხარულს ვუსურვებთ.

ცაგერის პროფსასწავლებლის თანამშრომლები.

მამუკა მეშველიანს

გილოცავ დაბადების დღეს, იხარე და იდღეგრძელე საყვარელი ცოლ-შვილით.

ოთარ კვირკაშვილი.

მარო და გურამ დავითულიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს პირველი შვილიშვილი თქვენთვის

მერი, იზო, თათარო, თემურ, კახა ნემსწვერიძეები.

ეკა ფირანიშვილს გოჩა დავითულიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, ღირსეული ქართველი ქალი გაზრდილიყოს.

ნატო მახარობლიძე, მარინე გიორგობიანი. მალხაზ, კახა სილაგაძეები.

შურა, ოთარ ყურაშვილებს

გილოცავთ შვილის ბედნიერებას. შეექმნათ კარგი ქართული ოჯახი.

ლია გუგავა, ინგა თოთაძე, აზა ირემაძე, ლია მუშკუდიანი, ლეილა კვირკაშვილი, დალი მურცხვალაძე, მთვარისა კოპალიანი, ბელა მეშველიანი, მერი იმედაშვილი, ლონდა გუგავა, ნატო სილაგაძე, ნატო ჭაბუკიანი.

მამუკა მეშველიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ნინიკო და გვანცა მეშველიანები.

პარიზელთა უმრავლესობა სიამოვნებით გადასახლდებოდა

პარიზი. პარიზში ცხოვრება, რომელსაც ბევრი უცხოელი მიიჩნევს, როგორც ბრწყინვალებისა და დიდებულების განსახიერებად, სულაც არ არის მთლად ისე სასიამოვნო და იოლი, როგორც ეს მიაჩნიათ.

გამოკითხულ პარიზელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ—55 პროცენტმა—განაცხადა, სიამოვნებით გადავიდოდი სხვგაგან საცხოვრებლად, შესაძლებლობა რომ მქონდესო. ისინი, კერძოდ, უჩივიან ბინის სიძვირეს, გარემოს გაჭუჭყიანებასა და ტრანსპორტისაგან შექმნილ საცობებს. ყოველივე ეს, მათი აზრით, დიდ ქალაქს მიმზიდველობას უკარგავს. ამასთან გამოკითხულთა 41 პროცენტ მიაჩნია, რომ დიდ ქალაქ აქელებს ადვილად გამოარჩევ დანარჩენი ფრანგებისაგან თავისებურებით—მათ გარეგნობას მუდმივი სტრესისა და ნერვული გადატვირთვის დაღი ამჩნევია.

გამოკითხულთა 43 პროცენტმა თქვა, რომ ისინი არაფრის გულისათვის წავლენ პროვინციაში, ასეთი შესაძლებლობაც რომ მიეცეთ.

ეროვნული არქივი

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

დედა ვენერა, ძმა ტარიელი, ბებია ვერა, მამიდა ჟუჟუნა, ბიძები ჭიჭიკო, რობერტ კოპალიანები, ოთარ ყურაშვილი, ბიცოლები ციალა, ნანული, რძალი ცირა ხუციძე, სიძეები ბახვა ჭიღვარია, გოჩა ჯაშიაშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსლან გალაქტიონის ძე კოპალიანი

დაკრძალვა 18 დეკემბერს სამშაბათს ქ. ბათუმში. გამოსვენება დიმიტრი თავდადებულის ქ. №71-დან.

ცაგერის დამზადების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა ბენდელიანს ბიძის

ილარიონ ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები დესნა სილაგაძე, სევერიან, შოთა კოპალიანები, ზაურ, გრიშა საღინაძეები, ანზორ ტვილდიანი, დემურ, კარლო ჩაკვეტაძეები, მურთაზ ჩარკვიანი, სოზარ, თამაზ ბენდელიანები, ნუშარ ხვადაგიანი, შოთა კოპალიანი, მიშა ფოჩხიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილარიონ პეტრეს ძე ბენდელიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეზობლები გრიშა შკუბულიანი, ლუდუკი ხეცურიანი, გელა, ნოდარ, თამაზ საღინაძეები, ეორა სილაგაძე, ნინა კოპალიანი, რეზო, ეორა ლეთოდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილარიონ ბენდელიანი.

კინოფიკაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბორია ნოდარის ძე ხეცურიანს ბიძის

ეორა ომანაძის

გარდაცვალების გამო.

ოყურეშის ვეტუბნის თანამშრომლები როინ საღინაძე, ოთარ კუხალაშვილი, ანა ზურაბიანი, კლარა ლიპარტელიანი, მარინე ბენიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორა აქვსენტის ძე ომონაძე

ზუბის საშუალო სკოლის 1977 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ოლეგ ომანაძეს მამის

ეორა აქვსენტის ძე ომანაძე

გარდაცვალების გამო.

შვილები სულიკო, ბესიკი, შვილიშვილები გოგა, ნატო, მაია, სოსო, ლევანი, ლელა, ნონა, რძლები დოდო კომახიძე, ლია კახიანი, მაზლი ლადო ეფაძე, ძმისშვილები, მაზლისშვილები, მულისშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

საშა გიორგის ასული

აკობიძე-ეფაძე.

დაკრძალვა 18 დეკემბერს, სამშაბათს სოფ. ოყურეშში.

№2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა ყურაშვილს ბიძაშვილის

რუსლან გალაქტიონის ძე კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ძმისშვილები გრიგოლ, გოგუცა, ვენერა ბენდელიანები, სიძეები სამსონ ნემსწვერიძე, თენგიზ კოპალიანი, რძლები, ძმისშვილიშვილები ოჯახებით იუწყებიან

ილარიონ პეტრეს ძე ბენდელიანის

გარდაცვალებას.

რუბენ, გრიგოლ, ვალერი, კვაჩუნა, მელორი ბენდელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილარიონ ბენდელიანი

ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რიტა ომანაძეს მამის

ეორა ომანაძის

გარდაცვალების გამო.

შოთა, მურად ლიპარტელიანები ოჯახებით იუწყებიან

გრიშა ოქროპირის ძე ცვარიანის

გარდაცვალებას.

გრიშა ომანაძე, მერაბი, ვალერი ბენიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორა ომანაძე.

გურამ ჩაკვეტაძე, როინ ამბროლიანი, მურმან ომანაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორა აქვსენტის ძე ომანაძე

პავლე მეიფარიანი, ტუღუ ხაბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გივი ბენდელიანს მამის

ილარიონ ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვენერა, შვილები ავთანდილი, თაილი, რძალი ნარილ, შვილიშვილები ვალერი, თემური, სიძე იური ღლონტი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცავა

ვალიკო ერმილეს ძე კეკუტია

დაკრძალვა 15 დეკემბერს, შაბათს ქ. ბოლნისში.

სამსონ ერასტის ძე ნემსწვერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ილარიონ ბენდელიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა, მანანა ომანაძეებს, მერაბ ქომეთიანს მეუღლის, მამისა და სიმამრის

ეორა აქვსენტის ძე ომანაძის

გარდაცვალების გამო.

გალაქტიონ, ლუბა, ნადია, მურადი, თამრიკო ქომეთიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეორა აქვსენტის ძე ომანაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დადაში ბენიძე ოჯახით თანაუგრძნობს ბონდო და გივი ბენდელიანებს მამის

ილარიონ ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

რაისაავადმყოფოს კლინიკოდიაგნოსტიკური ლაბორატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჟუჟუნა კოპალიანს ძმისშვილის

რუსლან კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ზუბის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ ნური ხეცურიანს ბიძის

ეორა აქვსენტის ძე ომანაძის

გარდაცვალების გამო.

კინოფიკაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბესიკ ეფაძეს დედის

საშა ეფაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34. სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №144 ტირაჟი 4483

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.